მოკლედ, მთის გარკვეული ნაწილი დაიკავა რადიოლოკაციური სადგურის შენობამ, რომლის მეშვეობით აშშ-ს ნაციონალური უშიშროების სააგენტო ისმენდა მაშინდელ „გედერში“ (იმ პერიოდში ე.წ. „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა“) და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნებში განხორციელებულ სატელეფონო და რადიოსაუბრებს. დიდი ხნის განმავლობაში Teufelsberg იყო დახურული ტერიტორია, როგორც ნებისმიერი სამხედრო ბაზა. აქ ოცდაათხუთათიან რეჟიმში მუშაობდა 1000 ადამიანზე მეტი: ამერიკელები და მოგვიანებით მათი კოლეგები ბრიტანეთის დაზვერვიდან.

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ ბაზა დაცარიელდა. მცდელობა, მთაზე გაშენებულიყო არქიტექტურული კომპლექსი კერძო სახლებით, რესტორნებით, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებით, კონგრეს-ცენტრებით და შპიონაჟის მუზეუმით, მარცხით დასრულდა. ბუნების დამცველები აჯანყდნენ, მშენებლობის იდეა გაყინული იქნა და ინვესტორი გაკოტრდა.

მოგვიანებით, „მეხარისის სულიერი აღორძინების მოძრაობამ“ დაგეგმა თავისი უნივერსიტეტის და 50 მ-იანი „დაუმარცხებლობის კოშკის“ აგება, თუმცა ეს იდეაც არ იქნა განხორციელებული.

საბოლოო ჯამში, ბერლინის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოაცხადა Teufelsberg ბუნებრივი გარემოდ და ტერიტორიაზე აკრძალა მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ამასთან, დღეს საუბრობენ უნდა შეინარჩუნოს თუ არა „ემმაკის მთა“-მ თვითმყოფადობა. უნდა იყოს თუ არა ის წარსულის სილუეტი და ბერლინის იმიჯი?! კითხვები და პასუხები ერთიმეორეზე მრავალფეროვანია. თუმცა ერთხმად ვერ იტყვი, რომ მხოლოდ წარსულით უნდა იცხოვროს, თუ მას აქვს უფლება ჰქონდეს მომავალი?!

რადიო სადგურის შენობის ნანგრევები საკმაოდ საინტერესოა ტერიტორიაზე მორგებული. მისკენ მიმავალი გზა დახვეული და ვიწროა, ხოლო ხედები შეუდარებელი.

არქიტექტურის ასეთ გამოხატულებას ნაწილობრივ ბრუტალიზმისკენაც მივყავართ - ღია სივრცეები შიშველი რკინის კონსტრუქციები, მიტოვებული ძველი სარდაფები და სართულები... - ადგილი არაჩვეულებრივია.

დღესდღეობით, იგი „Streetart“-ის აკვნად იქცა. ღია თუ დახურული სივრცეები, ხელოვნების ნიმუშებია. ადგილზე ყოფნისას გრძნობ თავისუფლებას, მამულებს, სხვადასხვა კულტურის, რელიგიის და მსოფლმხედველობის მიქსს. ხშირად ნამუშევრები მოურიდებელი და პროვოკაციულია. ზუსტად ეს ქმნის ამ ადგილს ასეთ მიმზიდველს.

გარდა მუდმივი ექსპოზიციებისა, აქაურობა ხშირად ხდება სხვადასხვა ფილმების, სერიალების, კონცერტების, ღონისძიებებისა და ინსტალაციების სცენა. ეს არის ადგილი სადაც ხელოვნება იბადება, სადაც ყველაფერი ბუნებრივია.

„ემმაკის მთა“ მხოლოდ ამით არ გამოირჩევა. ის ექსტრემალური სპორტის სახეობების ნამდვილი სავანეა: სამთო-სათხილამურო და ველოსპორტი, კლდეზე ცოცვა თუ თავისუფალი დაშვება. ტერიტორია სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანებისათვის მრავალფეროვან აქტივობებს გთავაზობთ. თუ ხართ ბუნების მოყვარული ადამიანი, ხელოვანი, სპორტსმენი ან უბრალოდ ეძებთ ახალ გარემოს, ახალ ინსპირაციებს, მაშინ გრუნევალდის მარგალიტი - Teufelsberg - ბერლინური ქაოსით და გერმანული სიმშვიდით - თქვენია!



სპეციალურად ჟურნალი „სტილისთვის“

თეკლა ჭითანაძე
პოცდამის
არქიტექტურის
სკოლის,
არქიტექტურისა და
ქალაქმშენებლობის
ფაკულტეტის
სტუდენტი



FOURIER'S UNREALIZED PROJECT IF LATEST PLATFORM OF MODERN ART AND CULTURE...


In architecture, we often become modified buildings, monuments and urban spaces, which original function is different from today.

Our story begins here ...

The abandoned radio reconnaissance station Toifelsberg on the outskirts of the city now serves as a stunning observation deck and a place where you can meet sunsets. The history of this place is as follows: the architect Hans Malwitz planned to do here the military-technical faculty, and Hitler personally laid the first stone in 1937. The construction was boiling with might and main, but the first bombs began to fall on Berlin, which buried the plans of the architects of the Third Reich.

However very soon the American military stationed in West Berlin decided to build a radar station on the Devil's Hill. After the end of the cold war, the base was emptied. An attempt to build a large architectural complex on the hill was not crowned with success. Nowadays, he became the streetart place, where everywhere - in open or closed spaces - are art works.

SPECIALLY FOR THE STYLE
MAGAZINE
TEKLA CHITANAVA
STUDENT OF FACULTY OF
ARCHITECTURE AND URBAN
PLANING OF POTSDAM SCHOOL OF
ARCHITECTURE



RADAR

PARIS / MILANO

Elegant, timeless, understated

RADAR is a young Italian-French brand founded in 2016 in France by Francesca Bertini and Bastien Taillard. The mission of the brand is to return to the origins of design, giving life to a production capable of capturing demands of modernity and transforming it into authentic pieces, all handcrafted in Europe.

რადარი

ელეგანტური და მუდმივი, პარიზი/მილანი

RADAR-ი არის ახალი ფრანგულ-იტალიური ბრენდი, რომელიც დააარსეს ფრანჩესკა ბერტინი და ბასტიან ტაიარმა 2016 წელს საფრანგეთში. ბრენდის მისიაა დაუბრუნდეს დიზაინის საწყისებს და შექმნას პროდუქტი, რომელიც არის თანამედროვეობის ყველაზე ავთენტური ამსახველი და ევროპელი ხელოსნების მიერ ხელით შესრულებული.



ORIGIN

RADAR arose from the desire to create a collection of elegant and graphical objects made by qualified European traditional craftsmen using noble materials. RADAR is the complicity between two enthusiasts of art and design, two cities, two life stories; Paris and Milan linked by the culture of fashion and design.

RADAR is also the capacity to capture new trends and to be tuned in to our clients needs to produce unique custom-made objects.

RADAR-ის იდეა გაჩნდა სურვილისაგან რომ შექმნილიყო ელეგანტური და გრაფიკული საგნების კოლექცია, რომელსაც დაამზადებდნენ ევროპელი ტრადიციული ხელოსნები საუკეთესო ხარისხის მასალების გამოყენებით. RADAR-ი არის ხელოვნებისა და დიზაინის ორი ენთუზიასტის, ორი ქალაქის, ორი ცხოვრებისეული ისტორიის თანამონაწილეობა, რადგან პარიზი და მილანი ერთმანეთთან დაკავშირებულია მოდისა და დიზაინის კულტურით. RADAR-ი ეს არის ასევე შესაძლებლობა აღიქვას ახალი ტენდენციები და მუდმივად მომართული იყოს მისი მომხმარებლების საჭიროებებზე, აწარმოოს უნიკალური ნივთები.



Collection SOLFERINO



Radar Jupiter



Radar Miraje

CONTRAST

A contrast of materials. Between the gleam of glass and raw wood grain to the brilliance of marble and the matt-finish of plaster.

კონტრასტული მასალები. შუშის ბრწყინვალე, ნედლი ხის ბოჭკო თუ პრიალა მარმარილო და (matt-finish of plaster) მოცულობითი ბათქაში.

DESIGN

RADAR's style is marked by the original codes of industrial design. Solid and fluid forms, graphical curves, pure understated design. A spectrum of noble materials provide a timeless elegance to the product line.

RADAR-ის სტილი გამოირჩევა ინდუსტრიული დიზაინის ორიგინალური კოდებით. მყარი და მოქნილი ფორმები, გრაფიკული მრუდები, სუფთა მინიმალისტური დიზაინი.

საუკეთესო ხარისხის მასალების სპექტრი პროდუქციის მუდმივ ელეგანტურობას უზრუნველყოფს.



Collection METAL



Private apartment Geneva



Beriestain Barcelona

RAWMATERIALS & SAVOIR - FAIRE

All our raw materials are sourced exclusively in France and Europe and worked and assembled by hand in Poland. The glass products are cast in traditional workshops, the wood is sourced from sustainable forests, the marble blocks from renowned Italian quarries and the leather from French tanneries.

ნედლეული მასალები მოიპოვება ექსკლუზიურად საფრანგეთსა და ევროპაში, ხოლო ხელნაკეთი პროდუქტი იქმნება პოლონეთში. მინის პროდუქცია მზადდება ტრადიციულ სახელოსნოებში, ხე-მასალა მოიპოვება ძველ ტყეებში, მარმარილოს ფილები – ცნობილ იტალიურ კარიერებში და ტყავი – ფრანგი ტყავის მწარმოებლებისგან.

<http://www.radar-interior.com/>



Collection OAK



Collection OAK

Hotel France



STAMBA HOTEL



2018 წლის პირველი მაისიდან თბილისის ცენტრს ახალი სასტუმრო შეემატა. Rooms Hotel-ის არსებობის ექვსწლიანი წარმატებული პერიოდის შემდეგ კომპანიამ „აჭარა ჯგუფი“ და მისმა დამფუძნებელმა თემურ უგულავამ კიდევ ერთი ქართულ ბრენდი - Stamba Hotel წარმოადგინა.

სასტუმრო კოსტავას ქუჩაზე, საბჭოთა ეპოქის გამომცემლობის შენობაში განთავსდა. პირველ ეტაპზე სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ 40 მაღალი სტანდარტის (52 კვ.მ) ოთახით და 2 suite-ით (79 კვ.მ). მშენებლობის სრულად დასრულების შემდგომ სასტუმროში 150 ნომერი იფუნქციონირებს.

სასტუმროში განთავსებულია „კაფე სატმბა“ (Café Stamba), ასევე განთავსებულია კაზინო ავიატორი (Aviator). სასტუმროს ხუთსართულიანი ატრიუმის ტიპის ბეტონის ფოიე - Jungle Lobby - უნიკალური მრავალწლოვანი მცენარეებით არის დატვირთული. ამ სივრცეს თავზე მოწყობილი აქვს საცურაო აუზი გამჭვირვალე ფსკერით.

აჭარა ჯგუფის არქიტექტურული გუნდის - Adjara Arch Group-ის (ხელმძღვანელი: არქიტექტორი - გიორგი /გოგა/ ჩხეცია) დიზაინერების მიერ განახლებული შენობა ინარჩუნებს თავის პირველად, ისტორიულ სახეს. გამომცემლობის ისტორიული შენობის პირველადი ფასადის მსგავსად, შენარჩუნებულია სარემონტო სამუშაოების დროს აღმოჩენილი ძველი საბეჭდი დანადგარებიც. სასტუმრო Stamba გამორჩეული ინტერიერით Design Hotels-ის წევრი გახდა.

„აჭარა ჯგუფი“ ერთ-ერთი უმსხვილესი და სწრაფად მზარდი კომპანიაა სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში. 2010 წელს კომპანიამ ქართულ ბაზარზე საერთაშორისო სასტუმროების ქსელი Holiday Inn შემოიყვანა.

„აჭარა ჯგუფი“ ლიდერია ინოვაციური ტენდენციების ჩამოყალიბების, სამენარჩეო პროექტების განხორციელებისა და ახალი ესთეტიკის სტანდარტების დანერგვაში, სწორედ ამიტომ საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა ისეთი თანამედროვე ქართული ბრენდების შექმნით, როგორცაა Rooms Hotel - თბილისსა და ყაზბეგში, უმაღლესი კლასის Stamba Hotel და მოდური Fabrika Hostel.

ინოვაციური პროექტების წყალობით, დიდია „აჭარა ჯგუფის“ წვლილი როგორც რეგიონების, ისე დედაქალაქის ურბანული განვითარების საქმეში. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას და საქართველოს პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში“, - განმარტავენ კომპანიაში.



STAMBA HOTEL

The company "Adjara Group" and its founder Temur Ugulava presented another Georgian brand - Stamba Hotel

AUTHOR: Adjara Arch Group. - Architectural team of the company „Adjara Group“

ARCHI. Team Leader:

ARCHITECT Giorgi /Goga/ Chkhetia

Housed in one of Tbilisi's most important 20th-century landmarks, the new Stamba Hotel takes on the spirit of this former publishing house by showcasing the brutalist splendor of the original structure, including rediscovered printing paraphernalia that has been imaginatively restored and repurposed. The framework is chockablock with nostalgic references to the 1930s—imagine gilded, freestanding brass bathtubs in each of the guestrooms. Trees and foliage dominate the five-story-high atrium of the hotel's „living lobby“, off of which is Café Stamba, where local ingredients are served in all their just-picked glory. A spectacular glass-bottom rooftop pool—visible from the ground floor up—amplifies the fluidity of the design concept. The show-stopper at the presently 42-room hotel (soon to be 150 rooms), however, is the Aviator Casino with its Art Deco-inspired interiors reflecting the golden age of aviation, for which the casino is named. Note: Photographs shown here were taken prior to the hotel's completion and do not fully capture the majesty of what guests will find at Stamba today.



სიბუვიდა, ესთეტიკა და კომფორტი




ავტორი: ილია ზაქარაია
მდებარეობა: თბილისი, ჟვანიას ქუჩა

დიზაინერის მიერ შექმნილ საცხოვრებელ სივრცეში მაქსიმალურად გამოვლინდა ავტორის გემოვნება და პროფესიონალიზმი. საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბება-გაფორმების ძირითადი იდეა, ფუნქციურად სხვადასხვა ზონების ეფექტურ გადანაწილებაში მდგომარეობს. თავისი გამომხატველობით თვითმყოფადი, დამოუკიდებელი სათავსოები საცხოვრებელი მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. ბინაში მოხვედრისას, სტუმარს ამაღლებული, თბილი განწყობა ეუფლება, რაც კვლავ აქ მოსვლის სურვილს ბადებს. ინტერიერში თითოეულ ნიუანსს ის ადგილი აქვს მიჩენილი, საიდანაც იგი საუკეთესო სახით აღიქმება. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, დიზაინერის შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მთლიანობაში, კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას საცხოვრებელი გარემო - მშვიდი, ესთეტიკური და კომფორტული.

ნილო ლალიძე





CALMNESS AESTHETICS COMFORT

AUTHOR: Iliia Zakaraia
LOCATION: Zvania street, Tbilisi

The interior created by designer Iliia Zakaraia, is absolutely identical to its project version, revealing the author's professionalism at its best. The key highlight of this residential interior is efficient development of design theme from zone to zone. The spaces with their original architectonics integrate into an utterly comfortable living environment. A visitor entering this apartment perceives its positive, pacifying atmosphere from the very first step and feels an urge to visit the place again and again. Every detail in the interior is positioned so as to stand out with most efficiency. Approach toward shapes, textures and colours clearly expresses the designer's artistic principles and perfect taste. On the whole, the author's interesting and original solutions aim to achieve one and only goal – to create a living environment, guaranteeing comfortable and tasteful life.

NINO LAGHIDZE



სახლი უნივერსიტეტის პროფესორისთვის



მდებარეობა: თბილისი
ავტორი: ლევან კოკია
ფართი: 74მ²



წარმოდგენილი საცხოვრებელი ბინა მდებარეობს თბილისში, ვაკეში, ახლადშენებულ, მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობაში. ბინა, როგორც ეს, ხშირად ხდება, მფლობელს ერთიანი ფართის სახით, ყოველგვარი დაგეგმარების გარეშე გადაეცა, ამიტომ მასზე მუშაობისას, არქიტექტორს სრული თავისუფლება ჰქონდა თავისი გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გამოსავლენად.

საცხოვრებელს აქვს საუკეთესო - სამხრეთი მხარის ორიენტაცია. ფანჯრებიდან, ვაკის პარკსა და მის მიმდებარე მწვანე მთებზე, ულამაზესი ხედები იშლება. გამომდინარე აქედან ინტერიერის შიდა სივრცეები ფართო, შემინული ლიობებით მაქსიმალურად

იქნა გახსნილი გარე სამყაროსადმი, ასევე, ლოჯიასთან მოეწყო ვრცელი აივანი, სადაც ჩვენი ქალაქის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ჰაერზე ყოფნისა და დასვენებისთვის დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთის გატარება არის შესაძლებელი.

ბინის მცირე ფართობმა განსაზღვრა მისი თავისუფალი გახსნილი გეგმარება, სადაც ჰოლი, სამზარეულო, მისაღები ოთახი და კაბინეტიც კი ერთმანეთში გარდამავალ, ბუნებრივი განათებით გამთლიანებულ სივრცეშია მოქცეული.

საცხოვრებელი სივრცის ცენტრში არსებული ბეტონის უზარმაზარი პილონი, რომელიც შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს, შერწყმუ-



ლი იქნა რამდენიმე ტიხართან და იატაკიდან ჭერამდე აზიდულ სარკესთან და თითქმის დემატერიალიზდა საერთო ოთახის ვიზუალურად გაზრდილ სივრცეში. ამავე მიზანს ემსახურება ასევე, საძინებელ ოთახში კარადა-გარდერობის გორგოლაჭებზე მოძრავი კარების დიდი სარკის პანელი.

სხვათა შორის, მთელი ავეჯი ბინაში (გარდა რბილი ავეჯისა) - საძინებელში, ბარ-სამზარეულოში (ბარის დგარი გამოყოფს მას საერთო ოთახიდან), ასევე დიდი, ჩაშენებული კარადები - შეკვეთით იქნა დამზადებული.



ბინის მესაკუთრის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) კაბინეტი, რომელიც მისთვის ყოველდღიური საქმიანობის უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია, გარდა ლოკალური, ხელოვნური განათებისა, საერთო ოთახიდან და კაბინეტთან მიმდებარე საძინებლის ფრამუგიდან, ბუნებრივი განათებითაც ნათდება.

ბინის ყველა სათავსო გადანყვეტილია ნათელ ფერებში, რაც ინტერიერს ვიზუალურად და ემოციურად ამთლიანებს და უფრო მეტ გამჭვირვალებასა და სიმსუბუქეს მატებს. სამზარეულოსთან ვერტიკალური კომუნიკაციები ქვის ფაქტურისანი მოსაპირკეთებელი ფილების პანელითაა შენილბული, და მასზე უზარმაზარი ჭრიჭინა ზის.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ დიდია დამკვეთის როლი პროექტის შემუშავების პროცესში, განსაკუთრებით, კი ბინის დეკორირებაში, სადაც მისი დახვეწილი გემოვნება გამოვლინდა.

ლევან კოკია







RESIDENTIAL FOR UNIVERSITY PROFESSOR

LOCATION: Tbilisi
AUTHOR: Levan Kokaia
AREA: 74m²

The living apartment is located in Tbilisi, Vake, a multi-storey residential building. The apartment was commissioned without any planning or finishing, which in a certain sense facilitates the task of the architect. The apartment has the best - southern




orientation and windows offer a beautiful view of the Vake Park and the surrounding green mountains. Professional approach shows everywhere - in efficiently organized space, skillfully matched colors and textures, carefully planned lighting, stylistic solution of interior spaces, relevant furniture, tasteful choice of accessories... Flawless design, integrated by a general theme, forms an original interior space, offering comfort and pleasure.



როდესაც საცხოვრებელი ინტერიერი პროფესიონალის მიერ იქმნება – მაქსიმალურად ეფექტურად წარმოჩენილი შედეგი ყოველთვის ორიგინალურობით უნდა გამოირჩეოდეს, ფუნქციონალურად და ესთეტიკურად უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ მოთხოვნებს. ამჯერად წარმოდგენილ, არქიტექტორ დავით ხურცილავას მიერ შექმნილ ინტერიერში, მოცულობა პლასტიკურად ვითარდება. საცხოვრებელი ბინა თბილისში, ლისის ტბასთან მდებარეობს. მასში, კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით, სათავსოების შიდა სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. ავტორის მაღალი გემოვნების გამოვლენით, საცხოვრებელი

ბელი სივრცის ერთიანი ინტერიერი სახე – თანამედროვე დეკორის მოტივებით, მოცულობითი, პლასტიკური და ფერითი გადანაცვლებით, არქიტექტურული რითმებით - არაორდინალურია. საერთო ლაკონიზმი, დეტალები-სადმი უნატიფესი დამოკიდებულებითაა კომპენსირებული. მათი ვიზუალიზაცია ერთიანი დიზაინის ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. მყუდრო, სრულყოფილ, ესთეტიკურად თვითმყოფად სივრცეში შემოქმედებითი თავისუფლება შესაძლებელს ხდის მიღწეულ იქნას სტილისტური მთლიანობა. მას განმარტება არ სჭირდება – მნიშვნელოვანია სტილის სრული შესაბამისობა არსებულ გარემოსთან.



სტილის შესაბამისობა ცხოვრების წესთან

საცხოვრებელი ბინა ლისის ტბასთან
 ავტორი: დავით ხურცილავა



STYLE IN CONFORMANCE WITH LIFESTYLE



Apartment near Lisi Lake
AUTHOR: David Khurtsilava

When a residential interior is designed by a professional, the result is sure to possess such qualities as originality, functional and aesthetic conformance to definite demands. Interior of apartment near Lisi Lake, designed by architect David Khurtsilava, boasts diversity of forms, based on a supreme compositional principle. Refined taste of the author turned this residential space into an integral and original interior featuring a diversity of decor motives, flexible volume and color solutions and architectural rhythms. All these feats served to achieve just one task – creation of a comfortable, perfect, aesthetically unique interior space. Creative freedom made it possible to ensure stylistic integrity, which does not require further explanation and is in full conformance with the lifestyle of the apartment.

NINO LAGHIDZE



გამჭოლი ხედების ალიანსი



ავტორი: მაია წერეთელი
მდებარეობა: თბილისი. ბესიკის ქ. 4, ბიზნეს-ცენტრი „ბესიკი“

მაია წერეთლის მიერ შექმნილი ტურისტული კომპანიის „პრომეთეა ვოიაჟის“


საზოგადოებრივი გარემო გამჭოლი ხედების ალიანსია. დახვეწილი დიზაინერული გადასვლებით, მასში პლასტიური ერთიანობაა მიღწეული. მოქნილი ფორმები, ფერთა გამა და გამოყენებული მასალის სილამაზე ოფისის განსაკუთრებულ ხიბლს მატებს. ცალკეული „მონაკვეთის“ კონფიგურაცია, პროპორციები და დიზაინი კომპოზიციური მთლიანობის გამსაზღვრელია. გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების ფონზე ავტორმა საინტერესოდ ორგანიზებული გარემო შექმნა.

ALLIANCE OF TRANSPARENT VISTAS

AUTHOR: Maia Tsereteli
LOCATION: 4, Besiki str. (Besiki Business center), Tbilisi

The interior of PROMETHEA Voyages - Travel company was designed by designer Maia Tsereteli. This public space represents an alliance of transparent vistas. Refined design transitions provide an effect of flexible, constantly changing unity. Plastic forms, exquisite coloring and beautiful choice of textures endows the office with special charm. Configuration, proportions and design of various sections defines thematic integrity of the interior. The author has created a well-organized, compact composition, featuring interesting solutions and original atmosphere.

Photo by: Rafael Arzumanov





სიმშვიდის და დინამიკის ალიანსი

ავტორი: ნინო მანჯავიძე

მდებარეობა: თბილისი, ალექსიძის ქუჩა

ფართი: 120 კვ.მ.

საცხოვრებლის დახურული და ღია მოცულობებისათვის დამახასიათებელი მოძრაობა ცოცხალი და რითმული და მოვლენის ტრადიციულად გააზრებაზე უფრო მეტის მომცველია. აქ წონასწორობაა სიმშვიდესა და დინამიკას შორის და უფრო მეტია თავისუფალი ტიპის შემოქმედების შედეგი, რაც გარკვეული დაკვირვებისას ვლინდება. კონსტრუქციული ელემენტების პროპორციები თავისუფალია. მას საფუძვლად ესთეტიკური კრიტერიუმები უდევს. ინტერიერში გეგმარება, დიზაინი, ზღუდარებით შექმნილი სივრცითი კომპოზიციები, ექსკლუზიური დიზაინი - ფუნქციონალურ-ესთეტიკური ხასიათის მატარებელია და მათ თვითმყოფადობას განსაზღვრავს. განყენებულ ფორმებში ნაგრძნობი სივრცე, განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას იძლევა.

საცხოვრებელი ვრცელია, ნათელია, მასშტაბურია და მნახველს ინტერესითა და სიმპატიით განანყობს. არქიტექტურულ-გეგმარებით გადანყვევებაში ორი მნიშვნელოვანი პრინციპია გატარებული - ერთის მხრივ, ინტერიერი „კლასიკურია“, მეორეს მხრივ იგი აბსოლუტურად თანამედროვეა, კოსმოპოლიტურია და ზუსტად პასუხობს ჩვენს ყოფითობას. გონივრულად შერჩეული ნატურალური მასალა, აქსესუარები თუ თითოეული ნიუანსი საცხოვრებელს კომფორტულ, დამამხსოვრებელ, ეკოლოგიურ გარემოდ გარდაქმნის.







The illusion of motion, distinguishing open and closed spaces of the apartment, makes the interior feel live and rhythmical. In this apartment, serenity and dynamics are balanced and subjected to unrestricted creative power. Proportions of constructional elements are uninhibited, but conforming to aesthetic criteria; planning and design of the interior, spatial compositions created

with the help of partitions, exclusive design – all of this is as much functional as elegant. Space expressed in terms of abstract forms provides boundless diversity.

Architectural and planning solution of the interior had been based on two important requirements – one was to the interior is „classic“ character, while the other to retain its absolutely modern and cosmopolitan, and match it to the inhabitants' daily life style.

Wisely selected natural construction materials, accessories and minor details turn the apartment into a memorable, comfortable and clean living environment.



CALM AND DYNAMIC ALLIANCE



AUTHOR: Nino Manjavidze
LOCATION: Aleksidze street, Tbilisi
AREA: 120 kv.m.



სივრცის თვითმყოფადობა



მდებარეობა: თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის ქუჩა N6
პვდორი: მაია წერეთელი
ფართი: 88 კვ.მ

თბილისის ერთ-ერთ საცხოვრებელ კომპლექსში განთავსებული, აქ წარმოდგენილი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის თავდაპირველი სახე, მისი მფლობელის ესთეტიკურ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა და ამიტომ, მისი კარდინალურად შეცვლის იდეა გაჩნდა. იდეის განსახორციელებლად კი პროფესიონალის ძალისხმევით უსისტემო გარემო ლამაზ საცხოვრებლად იქცა.

წარმატებული დიზაინერის მაია წერეთლის პროექტით განხორციელებული, საცხოვრებელი გარემო სასიამოვნო მოულოდნელობებზეა აგებული. სივრცეში, ორიგინალური კომპოზიციების, ხელნაკეთი ავეჯის, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ინტერიერის ხასიათი რამდენიმე დომინანტი ნიუანსისადმია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, დეკორატიული ნაკეთობებით შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ დღეს, ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის თვითმყოფადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

ნინო ლალიძე





INDIVIDUALITY OF THE SPACE

LOCATION: 6 Chabua
Amirejibi street, Tbilisi
AUTHOR: Maia Tsereteli
AREA: 88 kv.m

Owner of an apartment in one of Tbilisi residential blocks decided to thoroughly redecorate it in accordance with his aesthetic requirements. With the help of professional designer, dull standard flat got transformed into a comfortable modern apartment.

The interior of residential interior, designed by successful designer Maia Tsereteli is built up on the effect of pleasant unexpectedness. Original compositions, handmade furniture, articles and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design. The space within the interior is focused on several dominants, though in a non-localized manner. The visitors, looking at this improvised exposition of decorative articles, are sure to feel that the aesthetics of modern residential interior should be based not only on modern-style forms and objects, but also on the characteristic touches and associations with the past, indispensable for highlighting individuality of the space.

Photo by Rafael Arzumanov





პვეორი: ნათია კარიული
მდებარეობა: თბილისი,
 ალ. ყაზბეგის გამზირი N12/ბ
საერთო ფართი: 800 კვ.მ.

მაქსიმალურად ეფექტურად წარმოჩენილი ინტერიერი ორიგინალურობით გამოირჩევა და ფუნქციონალურად და ესთეტიკურად შეესაბამება კონკრეტულ მოთხოვნებს. წარმოდგენილი რესტორნის - **BEER TIME** - სივრცის არქიტექტონიკა პლასტიურად ვითარდება. ყოველი ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადანყვეტილი და კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით მოცულობის სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. არაორდინალური არქიტექტურული ნიუანსებით შექმნილი ინტერიერს, ცალკეული, განსაკუთრებული ხიბლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის. მისი თავისებურება და ხასიათი სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული. მსუბუქი დეკორი შესაბამის განწყობას ქმნის. ამგვარად წარმოქმნილი ერთიანი საზოგადოებრივი ზონა აფართოებს „მანევრირების სივრცეს“ და მოცემულ ფართობზე ფუნქციონირება მაქსიმუმის კონცენტრირება ხდება შესაძლებელი.

ნიმუ ლალიძე



სივრცის პლასტიური არქიტექტონიკა





PLASTIC ARCHITECTONIC SPACE

AUTHOR: Natia Kariauli
 LOCATION: 12/b Al. Kazbegi ave., Tbilisi

The highly efficient design of interior of BEER TIME restaurant, based on precisely calculated laconic solutions, is original, aesthetic and function-specific. The construction conforms to a supreme compositional principle, integrating diverse forms into a flexible structure.

The interior space is surprisingly well-organized. Unusual and light decor helps create a relevant atmosphere. The unified, unbroken public zone leaves a lot of space for maneuvering and allows for maximal concentration of functions.



ინტერიერის გრაფიკული იდეა

ავტორები: ნათია კარიაული, სოფო კარიაული
 მდებარეობა: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი
 ფართი: 100 მ²

ახალგაზრდული კაფეს (კაფე-საპოთდოგე) „ბრავოს“ ინტერიერის დიზაინი ნათია კარიაულის და სოფო კარიაულის პროექტით განხორციელდა. ერთიან სივრცეში ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციები, სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი და ა.შ. გამჭვირვალეობას და სიმსუბუქეს, ორიგინალური კოლორისტული გადანყვება უდევს საფუძვლად. მთლიანი პალიტრა ოპტიმალურ ფონს უქმნის ნებისმიერ საგანს, გამოკვეთს მის მოცულობას. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ინტერიერში ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია. გამოყენებულ მასალათა ფაქტურები ინტერიერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. საერთო გამჭვირვალეობაში შეჭრილი ხაზები და პარალელები, მაორიენტირებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. დიზაინერული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული...



სოფო კარიაული




ნათია კარიაული





AUTHORS: Natia Kariauli and Sophie Kariauli
 LOCATION: Vaja-Pshavela avenue, Tbilisi
 AREA: 100 m²

The interior of café (café – Hot Dog) BRAVO public space was designed by Natia Kariauli and Sophie Kariauli. The integral space attracts attention by decorative compositions of architectural elements, shape and color of accessories, transparency and lightness of design solutions. The original color palette provides an optimal background for any item and highlights its sculptural nature. Graphical precision of interior is further accentuated by quaint glinting of light on upholstery and finishing materials, lines and parallels, dynamically merging into patterns and silhouettes. The design flows as a melody with changeable rhythm and a perfect sequence of motives...



რეალობაში განხორციელებული ფორმის მნიშვნელობა


სამშენებლო კომპანია ანაგის ოფისების ინტერიერები

მდებარეობა: თბილისში კოსტავას ქუჩაზე და ბათუმში ფიროსმანის ქუჩაზე

ავტორი: მაია ადამია

წარმოდგენილი ობიექტების ინტერიერული გარემოს თავისუფალი სივრცეები თითოეულ მოცემულობაში თავისებურად ინდივიდუალურია და განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. სისადავე, გეგმარების თავისუფლება და დინამიზმი დიზაინერ მაია ადამიას კონცეპტუალური კრეალობა. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის კონცეფცია ესთეტიკურ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრს და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერების მიკროგარემო - დამოუკიდებელი მოცულობები - მათთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს სივრცის საერთო ნყოფასთანაა შეთავსებული. ესთეტიკური, ნატიფი ფორმის მნიშვნელობა მათ რეალობაშია განხორციელებული. მაია ადამიას მუშაობის დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა ინტერიერთა სტილისტური მთლიანობა და მათი დანიშნულებასთან შესაბამისობა.





THE IMPORTANCE OF THE FORM IMPLEMENTED IN REALITY

Interiors of Anagi construction company's offices
LOCATION: Kostava str. In Tbilisi and at Pirosmeni str. In Batumi


AUTHOR: Maia Adamia

Interiors of these offices is a free-flowing space with distinct individuality and precisely defined function. Simplicity, uninhibited planning and dynamism – these are the key principles which Maia Adamia used in its work. The conception of expressive architectural image, forming the foreground of the design, is strengthened by aesthetic associations and deep connotations. The interior consists of independent volumes bearing different emotional „colouring“ depending on their functional specifics but efficiently merging into the general structure of the space. The importance of aesthetically valuable, refined forms is accentuated by the quality of their implementation. Maia Adamias's distinctive style and refined taste successfully defined individuality of the interior and integrated it into the surrounding life.





TIFLIS INN BOUTIQUE HOTEL



აპროტი: დიზაინერი თაკო უნდილაშვილი
მდებარეობა: თბილისი, შეროზიას ქუჩა

ბუტიკ-ჰოტელი Tiflisi Inn განთავსებულია ისტორიული შენობის პირველ სართულზე, XIX საუკუნის სტილის ინტერიერით. სასტუმროს სივრცეში, ორიგინალური კომპოზიციების, ნივთების, ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში, სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ამდაგვარი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში „რეტრო ჩართვებს“ განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. სალონში, საზოგადოებრივი ცხოვრების რამოდენიმე დომინანტი ნიუანსისადამია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ დღეს, საზოგადოებრივი ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის თვითმყოფადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.



TIFLIS INN BOUTIQUE HOTEL

AUTHOR: Designer Tako Undilashvili

Location: Sherozia street, Tbilisi

Tifliss Inn Boutique Hotel offers accommodations in Tbilisi City. Decorated in 19th century style, hotel is located on the ground floor of the historical building. Tifliss Inn's Original compositions, articles and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design. Such an approach allows for introduction of retro elements into the modern stylistics.

The public activity within the interior is focused on several dominants, though in a non-localized manner. The visitors, looking at this improvised exposition of decorative articles, are sure to feel that the aesthetics of modern public interiors should be based not only on modern-style forms and objects, but also on the characteristic touches and associations with the past, indispensable for highlighting individuality of the space.





S CAD GROUP GEORGIA მიხეილ ცინაძე



რვა წელია რაც თბილისში ქართულ-ამერიკული საინჟინრო მხაზველობითი კომპანია S Cad Group georgia დაარსდა, კომპანიის საქმიანობის სპეკტრი მსხვილი კომერციული ფართების ინტერიერის და ავეჯის დაპროექტება და ტექნიკური ნახაზების მომზადებაა. მისი დამფუძნებელი ამერიკის მოქალაქე, ამერიკის ინტერიერის დიზაინერთა ასოციაციის წევრი მიხეილ ცინაძეა, რომელსაც საინტერესო ემიგრანტული ისტორია აქვს - მას 34 წლის ასაკში მოუხდა ცხოვრების თავიდან დაწყება. სამშობლოდან შორეულ ამერიკაში ისე ჩავიდა, არც დამხმარე ჰყავდა, არც მფარველი, მაგრამ რამდენიმე წელიწადში წარმატებული კომპანიის ხელმძღვანელი გახდა. დღეს კომპანია S Cad Group georgia თბილისში ორმოცამდე ადამიანი, მხაზველი, არქიტექტორი, ინჟინერი ჰყავს დასაქმებული და უახლოეს მომავალშიც ახალი პროექტების განხორციელებასაც გეგმავს.

მიხეილ ცინაძე: S Cad Group georgia თბილისში რვა წლის წინ დავაფუძნე. ამერიკაში ცხოვრების 14 წლიანი პერიოდის შემდეგ, როდესაც პირველად საქართველოში დავბრუნდი გადაწყვიტე, რომ ჩემი ამერიკული კომპანიის საქმიანობის არეალი გაშვარდა და ჩემი ბიზნესი საქართველოშიც გადმომეტანა. როცა დავბრუნდი, დაინახე, რომ აქ მკვეთრად იყო გაუმჯობესებული ეკონომიკური, პოლიტიკური, კრიმინალური სიტუაცია, შეცვლილი იყო მოქალაქეობრივი შეგნება. ქვეყანა იყო განვითარების ისეთ ეტაპზე, რომ უკვე შეიძლებოდა ფიქრის დაწყება სტაბილურ ბიზნესზე. 2010 წელს, როცა თბილისში ჩამოვედი და

თვითმფრინავმა თბილისს გადმოუფრინა, განათებული ქალაქი დავინახე, ჩემს ძმას ვუთხარი: მგონი მფრინავს შეეშალა და მიუნჰენში ჩამოგვიყვანა-მეთქი, რადგან იმ საოცარი სიტუაციიდან საიდანაც მე წავედი აბსოლუტურად სხვა რეალობაში მოვხვდი. აეროპორტში როგორც წასვლისას, კი არ დამხვდა ქალი „ტაბურეტკაზე“ და მეღვინის ბეჭედი კი არ ჩამიტყა საბუთებში, დამხვდნენ გაპინკინებული ოფიცრები, ინგლისურად მითხრეს, კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა საქართველოში და მეც ასე დავჩიქე! ახლა წელიწადის რამდენიმე თვეს ამერიკაში ვატარებ, უფრო მეტ დროს - საქართველოში.

— ძალიან საინტერესო ემიგრანტუ-

ლი ისტორია გაქვთ, რატომ ნახვედით ამერიკაში და როგორ მოახერხეთ იქ თავის დამკვიდრება?
— ამერიკაში მოვხვდი 90-იან წლებში, მაშინ თბილისში ძალიან მძიმე და გაჭირვებული პერიოდი იყო. თოიძის სამხატვრო სასწავლებელი მქონდა დამთავრებული, ხელოვანისთვის იმ სოციალურ პირობებში ცხოვრება რთული იყო, ჩემი პატარა ბიზნესი მქონდა, რომელსაც აქ განვითარების არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა. იძულებული ვავხდებოდი ერთად წავსულიყავი ამერიკაში. იქ ჩასულს დამხვდა ჩემთვის უცხო და სხვა სამყარო, ის, რასაც ნამდვილად არ ველოდებოდი. თავიდან ძალიან გამიჭირდა იქაურ რეალობას-



თან შეგუება. მენტალურად აბსოლუტურად სხვა პოლუსზე მოვხვდი, სადაც სულ სხვა წესები იყო. არ ვიცოდი როგორ მოვექცეულიყავი დამქირავებელთან სამსახურზე მისული _ მეგონა ხელფასის მოთხოვნა სირცხვილი იყო, ან არ ამიყვანდა სამსახურში თუ ჩემს „ფასს“ ვეტყვოდი (იცინის) გამიმართლა და ებრაული ორგანიზაციის დახმარებით 34 წლის ასაკში მოვხვდი ინგლისური ენის უფასო კურსებზე. მაშინაც ვიცოდი და მერე უფრო დავენმუნდი, რომ არც ერთ ასაკში არაა გვიანი, ცხოვრება დაიწყო თავიდან. მთვარი არის სურვილი _ არ გაჩერდე და განაგრძო წინსვლა. ორი კვირა ვიარე სკოლაში და როგორც კი ცოტაოდენი ინგლისური ვისწავლე, მაშინვე სამსახური მოვძებნე. ეს იყო ავეჯის საწარმო, რომლის მეპატრონეც ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ამ საწარმოში ძალიან ბევრი, სხვადასხვა სახეობის ავეჯი მზადდებოდა, ძალიან პატიოსნად ვმუშაობდი. ამერიკაზე ისეთი წარმოდგენა მქონდა, მეგონა, ერთი წამი რომ გაჩერებულიყავი,ზედამხედველი მაშინვე სამსახურიდან გამაგდებდა, მოკლედ გაუჩერებლად ვმუშაობდი (იცინის) როცა იმ კომპანიიდან ახალ სამსახურში გადავედი უკვე გამოცდილი

თანამშრომელი ვიყავი, ახალ კომპანიაში უფრო და უფრო რთულ საქმეებს მანდობდა უფროსი. ახალ კომპანიაში დავნერგე მეთოდი, რის შემდეგაც კომპანიის ხელმძღვანელისთვის უკვე სანდო თანამშრომელი ვავხდები, მით უფრო მას შემდეგ, რაც ავიღეთ დიდი შეკვეთა, რომელიც უზარმაზარი ბიზნისითე-ვის დიზაინერული პროექტის შექმნას უკავშირდებოდა. ამ პროექტისთვის საჭირო ვახდა ჩუქურთმების გაკეთება, იქ გამომადგა ქართული გამოცდილება, დავამზადე დაზგა, და ისეთი ბიზნისითეკა დავაპროექტე, შემკვეთი ძალიან კმაყოფილი დარჩა.
— როგორ წამოიწყეთ ამერიკაში საკუთარი ბიზნესი?
— საპროექტო-დიზაინერულ კომპანიაში, სადაც მე ვმუშაობდი, იმდენი შეკვეთები გვქონდა და ისეთი გამოცდილება მივიღე, რომ ამ საქმეების გაძლოლა დამოუკიდებლადაც შემიძლო. გავაკეთე პატარა ოფისი, ავიღე შეკვეთები. ისეთი სტიმული მქონდა, ღამეებს შრომაში ვათენებდი. მალე სტაფის აყვანაც დამჭირდა, რამდენიმე თანამშრომელი ავიყვანე, მერე უფრო გაიზარდა ჩემი საქმე. იმ პერიოდში უფრო აქტიურად შემოვიდა მოხმარებაში კომპიუტერები, დაიწყო კომპიუტერუ-

ლი ხაზვის განვითარება, სწორედ მაშინ გავრცელდა პროგრამა ავტოკადი. მაშინვე მივხვდი, რომ ეს კომპიუტერული პროგრამა იყო საინჟინრო-სამშენებლო საქმის მომავალი და ვთქვი: ეს პროგრამა უნდა ვისწავლო და ვისწავლე კიდევ. კომპანიაში მისი დანერგვის შემდეგ საქმეები უფრო ად უფრო უკეთესად მიდიოდა. სწორედ იმ პერიოდში მივიღე გადაწყვეტილება დავბრუნებულიყავი საქართველოში, რა დროითაც არ უნდა იყოს წასული თავისი ქვეყნიდან. რა წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიო სხვაგან, შენს ქვეყანაში წარმატებას მეტი ფასი აქვს, ეს იყო მთვარი მოტივი, რამაც საქართველოში ჩამომიყვანა.
— თქვენი ოჯახიც დაბრუნდა თბილისში?
— ჩემი მეუღლე, შვილები, შვილიშვილი ამერიკაში ცხოვრობენ, უფროსი შვილი ნათია საქართველოში დაიბადა, პატარა იყო, როცა ამერიკაში წავიყვანეთ, უმცროსი ნოდარი იქ დაიბადა, მაგრამ კარგად იცის ქართული ენა, უყვარს თბილისი, ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავს და საქართველოში ხშირად ჩამოდის.
— რას საქმიანობს კომპანია S Cad Group Georgia თბილისში?
— კომპანია მთლიანად მუშაობს



ამერიკულ შეკვეთებზე, ჩვენ გვაქვს შეკვეთები ამერიკიდან, კანადიდან, გერმანიიდან, ვმუშაობთ მსხვილი კომერციული ფართების ინტერიერისა და ავეჯის დაპროექტებაზე, საქართველოში მზადდება ტექნიკური ნახაზები და იყიდება ამერიკულ ბაზარზე. ამერიკაში ჩვენი პროფესია ძალიან მოთხოვნილია. სამწუხაროდ, საქართველოში კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობაა. მცდარია წარმოდგენა, რომ აქ მოთხოვნილი მხოლოდ იურისტის, ბანკირის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია. ტექნიკურ სფეროებშიც გვჭირდება კარგი კადრები, მათზე მოთხოვნა დიდია, მაგალითად,

მე პირადად ეს წლები სულ ვეძებ პროგრამა ავტოკადის კარგ სპეციალისტებს, ვინაიდან მათი მოძიება რთულია, დროდადრო თავად მიწვევს მათი გადამზადება, რომ ჩემთან დავასაქმო, არა და ამ პროგრამის გარეშე თანამედროვე ინდუსტრიის განვითარება წარმოუდგენელია.

– **რა დონეზეა ამერიკაში ავეჯის ტექნოლოგიური წარმოება და რა პერსპექტივა აქვს ამ მიმართულებას საქართველოში?**

– ჩვენი კომპანია მუშაობს ავეჯის და ინტერიერის დაპროექტებაზე, ვამზადებთ ტექნიკურ ნახაზებს, რომლის შემდეგაც იწყება ავეჯის წარმოება.

ეს არის ვინრო სპეციალიზაცია - შუარგოლი ამ ჯაჭვში - დიზაინერი აკეთებს თავის საქმეს, შემდეგ ერთვება ტექნოლოგი და ბოლოს იწყება ავეჯის დამზადება, მე არასდროს ვცდილობ ჩავერიო დიზაინერის ან ავეჯის დამამზადებლის საქმეში, ჩვენ ყველა ვაკეთებთ ჩვენს საქმეს, რომლებიც ერთმანეთისგან კარგად არის გამიჯნული. ამერიკაში ავეჯის დამზადების ტექნოლოგია ძალიან მაღალ დონეზეა, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე. აქ ბევრი ნიჭიერი ავეჯის დიზაინერი გვყავს, ძალიან კარგ, თანამედროვე დიზაინს ქმნიან, მაგრამ






აქ ყველაფერი მთავრდება. დიზაინერი მიდის ავეჯის დამამზადებელთან ნახატი და უკვე თავს ავეჯს, რეალურად ჩვენ არ გვყავს ავეჯის ტექნოლოგები. აქ უმეტეს შემთხვევაში უფრო ასეა - ყველა აკეთებს ყველაფერს. რეალურად ავეჯი კეთდება არასწორი ტექნოლოგიებით, ეს კომპონენტი თითქოს ამოვარდნილია, ამიტომაც არის უამრავი ავეჯი, რომელიც გარეგნულად ლამაზია, მაგრამ სწორად არ არის გაკეთებული. ჩვენ ყველას მოგვჩვენს ამერიკული, გერმანული, იტალიური ავეჯი, ის ავეჯიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანების დამამზადებელია, თუმცა ლა იმ ქვეყნებში ავეჯის წარმოებას ინდუსტრიული სახე აქვს, ჩვენთან სამწუხაროდ- არა. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა მოხდეს დიზაინერების, ტექნოლოგების და მწარმოებლების კოლაბორაცია და ამის შემდეგ შევძლებთ, გავაკეთოთ არანაკლებ ხარისხიანი ავეჯი, ვიდრე ევროპული ან ამერიკული ავეჯია.

ამერიკაში ავეჯის წარმოებაში ბევრი ფაქტორის გათვალისწინება ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონალური ფაქტორი, კლიმატური პირობები. სხვადასხვა რეგიონში შესაძლოა ავეჯი ერთი და იგივე მასალით დამზადდეს, მაგრამ ტექნოლოგია უნდა იყოს განსხვავებული- მაგალითად, მნიშვნელოვანია რითი იქნება შეღებილი ავეჯი, რა ტიპის ლაქი დაეხსმება; ბინაში, სადაც განლაგდება ავეჯი, როგორ უნდა იყოს რეგულირებადი ტემპერატურა, გათბობის და გაციების სისტემა., რადგან ხე, რომლისგანაც ავეჯი მზადდება ცოცხალი მასალაა და „სუნთქავს“, ტემპერატურის მკვეთრი ცვლებადობა მას აზიანებს, ამიტომაც ყოველთვის ვაფრთხილებ დამკვეთს, რომ არ დატოვოს ზამთარში ბინა გათბობის გარეშე, იქ კი სადაც მაღალი ტენიანობაა, მაგალითად ფლორიდაში, ზაფხულში კონდიციონერი უნდა იყოს ბინაში ჩართული, თუნდაც ბინა

რამდენიმე ხანი დაკეტილი იყოს. ავეჯი მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი დიზაინი არ არის, ის ფუნქციონალური უნდა იყოს და დიდხანს ემსახუროს მფლობელს, ამიტომაც ამერიკაში ავეჯის წარმოებაში პრიორიტეტულია თანამედროვე მიმართულებები და ახალი ტექნოლოგიები, ფურნიტურა, მასალათა ხარისხი და სახეობები, რომელთა უმეტესობა სერტიფიცირებულია და რომელიც არ შეიცავს ჯანმრთელობისთვის საზიანო ნაერთებს. საქართველოში ასე არაა - დამკვეთისთვის მნიშვნელოვანია ფასი, შესაბამისად, თურქული ლამინატით და იაფასიან ფურნიტურით დამზადებული ავეჯი ქარბობს. საქართველოს ბაზარი არ მაქვს კარგად შესწავლილი, რადგან ამერიკული ბაზრისთვის ვმუშაობ, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ ჩვენთან ავეჯის დიზაინერები და მწარმოებლები გაერთიანდებიან და აუცილებლად მოძებნიან კომპეტენტურ ავეჯის ტექნოლოგებს, თუნდაც ისეთებს, როგორი სპეციალისტებიც მუშაობენ ჩემს კომპანიაში, რადგან მე ბევრი ვეძებ და ავეჯის ტექნოლოგ-სპეციალისტები საქართველოში ვერ ვიპოვე, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ ქართველ დამკვეთზე, არამედ ექსპორტზე, მაშინ საქართველოში ავეჯის წარმოებას პერსპექტივა აუცილებლად ექნება.

მოამზადა
თამარ ჩხენკელმა





ქართული ბრენდი - JEWELLERY BY MAKA

საქმე, რომელსაც ბედნიერება მოაქვს



მაკა ჩხვიძე

ფოტო: ლელი ბლაგონრაგოვა

2018 წლის 27 აპრილს, თბილისის მარიოტში, გალერეა შარდენში ექსკლუზიური სამკაულის ცნობილი დიზაინერის მაკა ჩხვიძის გამოფენა გაიხსნა. ვთავაზობთ ინტერვიუს მასთან სპეციალურად შურნალი „სტილისთვის“

- მაკა, როგორ მოხდა რომ სამკაულის დიზაინმა გაგიტაცათ?

ეს დაახლოებით შვიდი-რვა წლის წინ მოხდა - თარიღს ვერ დავაკონკრეტებ, რადგან ყოველთვის ამ გარემოში ვტრიალებდი - მამაჩემის, არქიტექტორ დავით ჩხვიძის სამკაულებზე მუშაობის პროცესს ვადევნებდი თვალს. პროფესიით ეკონომისტი ვარ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე, ფინანსები დავამთავრე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. შემდეგ ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში - მონუმენტურ-დეკორატიულ გაფორმებაზე, სადაც არქიტექტურაც ისწავლებოდა და ექსტერიერის და ლანდშაფტების გაფორმებაც, რაც შემდგომ სამკაულებზე მუშაობისას ძალიან დამეხმარა. თანდათან ვისწავლე საიუველირო ხელობა

და მუშაობას შევუდექი. საქმემ გამიტაცა, დავინახე, რომ უკეთესადაც შემეძლო, ჩავუღრმავდი და ხელობა უფრო დავხვეწე. მალე კი შეკვეთების მიღება დავინიყე. აქედან წარმოიშვა ჩემი ახალი - ხელნაკეთი სამკაულის დიზაინერის პროფესია და დღემდე ამ მიმართულებით ვმუშაობ.

- რა განსაზღვრავს თქვენი სამკაულის უნიკალურობას?

- ჩემი სამკაულის უნიკალურობის განმსაზღვრელი მისი ექსკლუზიურობა და ხელნაკეთი ტექნიკაა, მას ცვილის ტექნიკა ჰქვია და მე ის მამისგან ვისწავლე. ცვილის ტექნიკით, როცა ნაკეთობა ისხმევა, თავიდან ის ჟანგიან რკინას ჰგავს. შემდეგ იწყება სხვადასხვა ეტაპი: თვლების ჩასმა, გაპრიალება, მოოქროება, გაშავება და ასე შემდეგ. ამ ტექნიკის გამოყენებით ყოველ ჯერზე, სამკაულის, ერთ-

მანეთისგან განსხვავებული, მოქნილი დიზაინი იქმნება. განსხვავებულია მათი დამზადების დროც. მასალად, ძირითადად, ვერცხლს ვიყენებ, მიმაჩნია, რომ ვერცხლი ოქროსთან შედარებით ფაქტურების მხრივ მეტ არჩევანს იძლევა, რადგან ის შეიძლება მოოქროვდეს და გაშავდეს კიდეც. ამ ორ ფერს ხშირად ერთმანეთს ვუხამებ. როცა დეტალები ნატურალურ ან ნახევრადძვირფას ქვებთან ორ ფერშია გადანყვებილი, ისინი ერთმანეთს მეტად გამოკვეთენ. არის შეკვეთები, რომლებიც მთლიანად ოქროში სრულდება. რამდენადაც ოქრო ძვირფასი მეტალია, მეტვალდებულებას ითხოვს მასალა არ დაკარგო და შესაბამისად, მუშაობის პროცესში შემოქმედებითი კუთხით ვიზღუდები.

- დიზაინერის საქმიანობაში როგორია ნიჭისა და შრომის თანაფარდობა?


დიზაინერობა ძალიან კომპლექსური პროფესიაა. მე კარგად შევითვისე იგი და დიდი გამოცდილება მივიღე ამ სფეროში. პირ-

ველი, რაც ამ პროფესიაში მნიშვნელოვანია, უნდა იყო პრაქტიკული ხელსაქმის კარგი მცოდნე და რაც მთავარია იყო ხელოვანი, რა თქმა უნდა გქონდეს ესთეტიკის და კრეატივის შეგრძნება. ტალანტი შეგვიძლია დავხვეწოთ, მაგრამ ეს მაინც ღმერთისგან ბოძებული ნიჭია, თუმცა ამ ბიზნესში შეხვედებით ზოგჯერ წარმატებულ კარგ მუშახელს და გამოყიდველს. აქედან გამომდინარე რთული კითხვაა - რა უფრო საჭიროა ნიჭი თუ შრომა - ალბათ თანაბარწილად ორივე.

- რა არის თქვენი შემოქმედების შთაგონების წყარო?

- შთაგონების წყარო შეიძლება გახდეს ქვა, მცენარე, ყვავილი, ყოფილი ნივთები, მოკლედ, ნებისმიერი საგანი, რასაც შეიძლება ხელოვნურად ახალი ფორმა მიენიჭოს და ასე წარმოიშვას სამკაულის გარეგნული სახის გააზრება, მისი დიზაინის შინაარსი, შესატყვისობა რეალურ თუ აბსტრაქტულ ფონთან და შემდგომ რა თქმა უნდა მისთვის კონკრეტული გამომხატველობის მინიჭება.





- რა ადგილი უკავია სამკაულს ადამიანის ვიზუალსა და სამოსის დიზაინში?

ექსკლუზიური სამკაული ხაზს უსვამს პერსონის გემოვნებას და ამსუბუქებს სილუეტს. კარგად შერჩეული აქსესუარები არა მხოლოდ ახალისებს მას, არამედ დამატებით ბრწყინვალეობას ანიჭებს.

ვთვლი, რომ დიზაინერის მიერ ქვების თავისებურებების გამოყენებით, მათი ფრომის და ფერის სწორად გადანაწილებით და ძვირფას ლითონთან შერწყმით, სამკაულს შეუძლია დამამთავრებელი სასიამოვნო შტრიხი შეიტანოს ადამიანის ვიზუალსა და სამოსის დიზაინში და გამოკვეთოს ხასიათი.

- როგორია საიუველირო დიზაინის ელემენტები?

ფლორისტული დიზაინის ელემენტებია - ფერი, ფორმა, სტრუქტურა. პრინციპები - ხაზი, პროპორცია, ფოკუსი, ბალანსი, ჰარმონია, კონტრასტი, შკალა. ეს არის ძირითადი 7 პრინციპი. მსგავს პრინციპებს ემორჩილება სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგი, მათ შორის არქიტექტურაც.

- ძირითადი საქმიანობის გარდა ამჟამად რით ხართ გატაცებული?
ჩემი ჰობია - დიზაინერული


იდეების ესკიზირება, ლიტერატურა, მუსიკა; ყველაზე დიდი ჩემი ჰობი კი არის ინტერიერის დიზაინი, ხშირად, მე თვითონ ვქმნი მას. თუმცა არასოდეს მინდოდა გავმხდარიყავი არქიტექტორი. სახლში დიდი სამოქმედო გარემო მაქვს, რაც მრავალფეროვანი იდეების განვრცობის საშუალებას მაძლევს.

- და ბოლო კითხვა, რომელსაც ყველა რესპონდენტს ვუსვამთ - ურჩიეთ რამე იმ ახალგაზრდა დიზაინერებს, რომლებიც ახლა შეუდგნენ შემოქმედებით გზას ან საკუთარი თავის ძიებაში არიან.

ვინც ახლა იწყებს დიზაინერის პროფესიას დაეუფლოს - უნდა იყოს სილამაზეზე დამოკიდებული და გქონდეთ „შიმშილის“ გრძნობა მის მიმართ. როგორც უკვე ავლნიშნე, ეს არის კომპლექსური პროფესია - მნიშვნელოვანია, ბევრი ცოდნისა და გამოცდილების მიღება და შემდგომ კრეატიულობის გამომუშავება. მხოლოდ კარგი ხელი და სუფთად კეთება - არ არის საკმარისი. ყველას ვურჩევ, რომ ბევრი იმუშაონ, ისწავლონ და გაითავისონ... იპოვონ საკუთარი საუკეთესო მონოდეზაინი - ცოცხალი, მობილური საქმე, რომელსაც ბედნიერება მოაქვს.



Georgian Brand_ Jewellery by MaKa
The case, which brings happiness



On April 27-29, 2018, at Tbilisi Marriott Hotel's Chardin Art Gallery was held Exclusive jewelry famous designer - Maka Chkheidze's exhibition



საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური კონკურსი



ნიკოზა არონიშიძე (ნიკოზას ჯგუფში ჩართული სტუდენტია - ანანო კაპა-ნაძე). ჯგუფს ხელმძღვანელობენ საქართველოს უნივერსიტეტის მენტორები - დიზაინერები: მანია წარეთელი და ნინო ჟღანტი.



თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი ინტერიერების მონაცემების გამოზნულ, ახალ სატელევიზიო პროექტში ჩართვისთვის, რომლის ინიციატორები საქართველოს უნივერსიტეტი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და ჰიპერმარკეტი „გორგია“ არიან, უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის დეპარტამენტმა სპეციალური ტესტირების საფუძველზე რამდენიმე სტუდენტი შეარჩია. პროექტი უკვე მეხუთე თვეა მიმდინარეობს. ტელეშოუში - „რემონტი ნანუკასთან ერთად“ - საქართველოს ყველა კუთხიდან მოქალაქეები აგზავნიან კრეატიულ ვიდეოებს, სადაც, რაც შეიძლება საინტერესოდ უნდა წარმოაჩინონ საკუთარი თავი და სურვილი, თუ რატომ

უნდა მივიდნენ მანცდამაინც მათთან სახლში ან ბინაში, ერთ-ერთ ოთახის მოსაწყობად და გასალამაზებლად. ტელეშოუ - „რემონტი ნანუკასთან ერთად“ - თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში უკვე ბევრ ადამიანს მიანიჭა უდიდესი სიხარული - აუხდინა ოცნება. მასში ჩართული საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის დეპარტამენტის პირველკურსელი სტუდენტებით ოთხ ჯგუფი დაკომპლექტდა. თითოეული ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ამავე დეპარტამენტის პედაგოგები, დღეს მოქმედი და წარმატებული არქიტექტორები და დიზაინერები. თითოეული სტუდენტური ჯგუფის ლიდერები არიან:









გიორგი ქატიამაძე (გიორგის ჯგუფში ჩართული სტუდენტები - მიძეა სვანიძე, გიორგი სოფრომაძე). ჯგუფს ხელმძღვანელობენ საქართველოს უნივერსიტეტის მენტორები - არქიტექტორები: ნანა ჭურაძე და გიორგი ჭკუასაძე.



სოფიკო დანელია (სოფიკოს ჯგუფში ჩართული სტუდენტი - ბეძა ბეძაშვილი). ჯგუფს ხელმძღვანელობენ საქართველოს უნივერსიტეტის მენტორები - არქიტექტორები: შორენა წილოსანი და ლადო აბრამიშვილი.



სტუდენტებმა, მენტორების ხელმძღვანელობით და ჰიპერმარკეტ „გორგის“ ძალისხმევით, „ნანუკას ჟორჯოლიანის შოუს“ მიერ შერჩეულ საცხოვრებელ სივრცეებში შეასრულეს სხვადასხვა დავალებები - თბილისში, საქარ-

თველოს სხვადასხვა ქალაქებში (რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, საგარეჯო, ზუგდიდი, მარნეული) და ჰიპერმარკეტ „გორგის“ შოურუმში უკვე გაარემონტეს და მოანწყვეს მისაღები, საძინებელი, საბავშვო ოთახები, სააბაზანოები

და სამზარეულოები. ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ წარმოდგენილი მოსაპირკეთებელი მასალის და ფურნიტურის გამოყენებით ინტერიერები შესრულდა სხვადასხვა სტილში, საინტერესო გადაწყვეტებით. პროექტი მიმდინარეობს და

წინ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ყოველი დავალების შესრულების შემდეგ, სრულიად საქართველო, „ნანუკას ჟორჯოლიანის შოუს“ „ფეისბუქ“ გვერდზე დადებულ, თითოეული ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოს ხმის მიცემით („და-

ლაიქებით,“) აფასებს, საბოლოო კი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება. აღსანიშნავია, რომ ასეთი პროექტი საქართველოში პირველად ტარდება, რაც საქართველოს უნივერსიტეტის, ხელოვნე-

ბისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის, არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის დეპარტამენტის ჯეროვანი დამსახურებაა. სკოლა გამოირჩევა ადამიანური და მატერიალური რესურსების ხარისხიანობით და სწავლების განს-



ოთო ჭკუასალი (ოთოს ჯგუფში ჩართული სტუდენტი - სალომი კვარაცხელია). ჯგუფს ხელმძღვანელობენ საქართველოს უნივერსიტეტის მენტორები: არქიტექტორი - ანა ლალიძე და დიზაინერი - ნინო ჯიქურაშვილი.



ხვავებული - ინოვაციური მიდგომებით, ეს კი სტუდენტს ხელს უწყობს ინდივიდუალური ხედვის აღმოჩენისა და ტექნიკის დაუფლების განვითარებაში. სწავლების პროცესი მენტორებთან მუშაობის საფუძველზე მიმდინარეობს. საქართველოს უნივერსიტეტის მენტორები - რეალიზებული და

წარმატებული პროფესიონალები - სტუდენტს უქმნიან საუკეთესო გარემო-პირობებს თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი თვითრეალიზებისთვის და დამოუკიდებლად მუშაობის მიჩვევისთვის. შედეგად სტუდენტები იღებენ საჭირო ცოდნას, რომელიც დაფუძნებულია პრაქტიკული სამუშაოს

შესრულებაზე. ამ საინტერესო, ცოცხალ პროცესში სტუდენტები მუშაობენ მათთვის საკმაოდ რთულ პროექტებზე და პროცესში ცდილობენ გადანყვიტონ მრავალი საკითხი თუ ამოცანა, რომელიც თან ახლავს რეალური ინტერიერის განხორციელებას. ვუსურვებთ მათ წარმატებებს!